საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN10

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

31 მაისი 2022წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. ჯემალი ისაკაძე,7. დავით ცხადაძე, 8. ნატალია ასათიანი, 9.რუსუდან კოვზირიძე, 10.იზა მაგრაქველიძე;

სხდომას არ ესწრებოდა: 0

სხდომას ასევე ესწრებოდა: ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურის დირექტორი ტარიელ ფანჩულიძე და იურისტი იმედა რობაქიძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 10 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 10 წევრი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშერულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღრიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ;**

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/
/თანამომხს. ი. რობაქიძე/

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე 10, წინააღმდეგი-არცერთი;**

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო, თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშერულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღრიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ", საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მეორე პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის თანახმად თერჯოლის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის საფასურის დადგენა და მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგების უზრუნველყოფა მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას, შესაბამისად სფეროს დარეგულირება უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის მიერ, კანონშესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებით, კერძოდ საკრებულოს დადგენილებით.

იმედა რობაქიძემ- აღნიშნა, რომ როგორც ცნობილია, ა(ა)იპ ,,თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური" წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობის წყალმომარაგებას. იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წყალმომარაგების ქსელი და ინფრასტრუქტურა არ არის მოწყობილი იმდაგვარად, რომ მოსახლეობა მოვამარაგოთ სასმელად ვარგისი წყლით, სამსახურს უწევს მოსახლეობისათვის ტექნიკური წყლის მიწოდება საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. სწორედ აქედან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს აღნიშნული დადგენილების მიღება საკრებულოს მიერ.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა, რუსუდან კოვზირიძემ;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშერულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღრიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი.

მუხლი 2. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას დასამტკიცებლად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე:

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2022 წლის 31 მაისის სხდომის

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშერულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღრიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/
/თანამომხს. ი. რობაქიძე/